მირაბალდები

საქმიანობის შესახებ

„მირაბალდების“ საქმიანობის ისტორია 2018 წლიდან იწყება. მათი **სოციალური მისიაა** ძალადობაგამოვლილ ადამიანთა მხარდაჭერა, მათთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
სოციალური საწარმო სამი დომინიკელი აქტივისტი დის სახელობისაა, რომლებიც XX საუკუნეში იბრძოდნენ ძალადობის წინააღმდეგ.

პროდუქცია

„მირაბალდები“ ქმნის ბრენდირებულ პროდუქციას, რომელიც მოიცავს პირველი ქართველი პარლამენტარი ქალების გამოსახულებიან სხვადასხვა ნივთს, კერძოდ:

- **უბის წიგნაკები**
- **წიგნის სანიშნეები**
- **წინდები**
- **მაისურები (წინასწარი შეკვეთით)**
- **ჩანთები (წინასწარი შეკვეთით)**
- **ილუსტრაციები ტილოზე (წინასწარი შეკვეთით)**

სოციალური შედეგები

- „მირაბალდების“ ძალისხმევით თბილისში, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო თავშესაფარში, გაიხსნა მრავალმხრივ აღჭურვილი ბიბლიოთეკა
- ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდასაჭერად განხორციელდა სხვადასხვა საქველმოქმედო და სასწავლო ღონისძიება
- განხორციელდა პროექტი „26 მაისის ქალები“, რომელიც პირველი ქართველი პარლამენტარი ქალების შესახებ ცნობადობის ამაღლებას ემსახურება

+995 595 79 40 04

mirabaldebi@gmail.com

https://www.facebook.com/mirabaldebi

https://www.instagram.com/mirabaldebi/

ალ. გრიბოედოვის #15, 0108, თბილისი, საქართველო